

2017 წლის 29 მაისი, ქალაქი ქუთაისი

**განცხადება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოხელეთა
საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სხდომის მოწვევის და მისი
დღის წესრიგის განსაზღვრის თაობაზე**

1. მოწვეულ იქნეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის (შემდგომში-კომისია) სხდომა 2017 წლის 06 ივნისს, 15:00 საათზე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, ნიუპორტის ქ. №32 დარბაზი №4

შემდეგი დღის წესრიგით:

1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღების (განყოფილება) ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის სექტორისა და სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სექტორის სპეციალისტების ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მსურველ კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი განცხადებების გადარჩევა;
2. გასაუბრების გრაფიკის განსაზღვრა კონკურსის მეორე ეტაპზე გადასულ კონკურსანტთა გვარების ანბანური მაჩვენებლების მიხედვით .

2. მოწვეულ იქნეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის (შემდგომში-კომისია) სხდომა 2017 წლის 09 და 10 ივნისს 10:00 საათზე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, ნიუპორტის ქ. №32 დარბაზი №4

შემდეგი დღის წესრიგით:

1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღების (განყოფილება) ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის სექტორისა და სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სექტორის სპეციალისტების ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებული კონკურსის მეორე ეტაპზე გადასულ კონკურსანტებთან გასაუბრება;
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღების (განყოფილება) ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის სექტორისა და სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სექტორის სპეციალისტების ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად ჩატარებული გასაუბრების დასრულების შემდეგ კონკურსანტთა შეფასებების დაჯამება და საშუალო არითმეტიკულის გამოთვლა;

3. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღების (განყოფილება) ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის სექტორისა და სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სექტორის სპეციალისტების ვაკანტური თანამდებობებზე დასანიშნად კანდიდატების წამოყენება.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსმა-ნათია ლოლაძემ განახორციელოს კომისიის წევრთა ინფორმირება სხდომის ჩატარების შესახებ.

კომისიის თავმჯდომარე:

A handwritten signature in blue ink, consisting of a large, stylized loop followed by a series of smaller, connected strokes.

გოჩა აბუსერიძე